ხელშეკრულება №16

ქ. თბილისი 17 მაისი 2011 წელი

ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქ.თბილისის 74-ე საჯარო სკოლა, საიდენტიფიკაციო კოდი 206 105 150, მდებარე: ქ.თბილისი, კაკაბეთის ქ. №2, წარმომადგენელი მისი დირექტორის მარინე ჯარმელიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „სტაგი ჯგუფი", საიდენტიფიკაციო კოდი 205220367, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-7კვ. მე-19კორპ. ბინა 15, წარმომადგენელი მისი ხელმძღვანელის მიხეილ საჯაიას (შემდგომში „შემსრულებელი") სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სკოლის დოკუმენტაციის წიგნებად აკინძვის მომსახურების გამარტივებული შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია სკოლის 1997 წლის იანვრიდან 2011 წლის აპრილის ჩათვლით ფინანსური (საბუღალტრო) დოკუმენტაციის და 2009 წლის სექტემბრიდან 2010 წლის დეკემბრის ჩათვლით გამოცემული ბრძანებების წიგნებად აკინძვა.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2. 1 ცალი აკინძული წიგნის (29,8 X 21; 300გრ-იანი ხრომერსაცის მასალა) ღირებულება 6 ლარი 00 თეთრი (დღგ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით)

3.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ასოთხმოც ლარს 00 თეთრს (დღგ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით)

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტიები

4.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ და განსაზღვრულ პირობებს და მოთხოვნებს.

4.2.საგარანტიო ვადის გასვლამდე გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

4.3.საგარანტიო ვადა განისაზღვრება 1(ერთი) წლით

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ათი კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, კაკაბეთის ქუჩა №2

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის(საგასახადო ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება – ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება საგადასახადო ანგარიშფაქტურით, სასაქონლო ზედნადებით და მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და შემსრულებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მომწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია იმ ფორმითა და მოქმედების ვადით, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული (საბანკო გარანტია,აკრედიტივი, ქონების დანადგარების დაზღვევა და სხვა).

7.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3.მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს ათი დღის ვადაში.

7.5. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი

8. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

– შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

– მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს ათი კალენდარული დღისა.

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზ-ღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენე-ბა წერილობითი ფორმა).თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყე-ნებულ იქნას დამატებითი ვადა,მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდებაგაფრთხილე-.

9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება,რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისშეუსრულებლო- ბით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%–ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2011 წლის „ 30 " „მაისამდე"

11. მხარეთა იურდიული მისამართები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	შპს „სტაგი ჯგუფი"
ქ. თბილისის 74–ე საჯარო სკოლა	
მისამართი:	მისამართი:
ქ. თბილისი	ქ. თბილისი
კაკაბეთის ქუჩა №2	ვაჟა-ფშაველას მე-7 კვ., მე-19 კორპ. ბინა 15
საკონტ. ტელ: 77–64–78;	საკონტ. ტელ: 93 10 58; 98 22 21
8 (90) 25–12–30	
საიდენტ.კოდი: 206 105 150	საიდენტ. კოდი: 205 220 367
სს „ საქართველოს ბანკი"ს ცენტ.ფილ.	სს „საქართველოს ბანკის" ცენტრ.ფილ.
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
ანგსწ.ანგარიში 000 700 455	ანგ.სწ. ანგარიში 212 715 700
დირექტორი:	დირექტორი